

F1294
1921



სელაფარის უფლებით.

თავისუფალი

საქართველო

№ 7.

31 აგვისტო, 1921 წელი.

№ 7.

ერთობისკენ.

«თავ. საქართველოს» მე-6 №-ში დაისტამბა «წერილი საქართველოდან», რომელშიაც ავტორმა ფრიად საინტერესო საკითხები წამოაყენა ზოგიერთი ქართული წრეების სულსკვეთების შესახებ. ჩვენის აზრით ავტორის დახასიათება უფრო უღდება ზოგიერთ პოლიტიკური წრეების ზედა კირს, ვინემ პარტიულ მასას. მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროთ მიგვაჩნია შევაჩეროთ ამ მოვლენაზე მკითხველის ყურადღება.

იმ შეუთრებელ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებს დღეს საქართველოში, ჩამბულია მთელი ქართველი ხალხი. აქ ჩვენ ვხედავთ იმავე საზოგადოებრივ ელემენტებს, იმავე კლასებს და ჯგუფებს, რომლებიც გუშინ, თავისუფალ საქართველოში ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ერთმანეთში ხშირად დაუნდობელი ბრძოლა ქმნიდათ გაჩაღებული. და თუ დღეს ვგვეყვებით ელემენტები მტრის წინაშე ერთად ირახმებიან, ეს იმიტომ რომ მათ ერთი და იგივე მიზანი აქვთ დასახული. ეს მიზანია გარედან შემოჭრილ უცხო ძალის უღელის გადაღება, ეროვნული განთავისუფლება. ეროვნული მოწოდება, რომლის ტიპიურ სურათს წარმოადგენს დღეს საქართველო, სულს უზუთავს მთელ ხალხს, აუფრებებს ცველ კლასების განვითარებას, ქართველი ერის შემადგენელ ცველ ელემენტებს ართმევს წინსვლის და წარმატების საშუალებას. უცხო ძალის ბატონობის გადაღდება არის ის აუცილებელი პირობა, ურომლისოდაც შეუძლებელია ქართველი საზოგადოების, ქართველი ხალხის ამა თუ იმ ნაწილის

ნორმალური არსებობა. ასე მართვია დღეს ჩვენს პოლიტიკური ვითარება და ქართველმა ხალხმა სწორი ალღო აუღო ამ ვითარებას: შინაური უთანხმოება, პარტიათა-შორის ბრძოლა ქართველი ხალხის მასისათვის დროებით მოდუნდა, მთელი ქართველობა, პროლეტარიატის შეთავაზებით, ერთ წყებათ დაირაზმა, და მოძალადეს დაუპირდაპირა ურჯვეი და დაურღვეველი გაერთიანებული ფრონტი. ამნაირათ მოხდა ჩვენში ეროვნული ძალების კონცენტრაცია და ამიტომ, რომ ჩვენს ხალხს შეუძლიათ იგერიეზს ბოლშევიზმის გამხრწნელ იერიშებს. ეს გარემოება ახდენს უძლიერეს შობეჭდილებას უცხოეთის დემოკრატიაზე, უღვიძებს მას უღრმეს სიმპათიას ქართველი ხალხისადმი. ამაში გამოიხატა ქართველი ხალხის პოლიტიკური სიმწიფე, ამაშია ქართველი ერის ძლიერება და ამაშივეა ბოლშევიზმის უძლიერება ჩვენში.

დამახასიათებელია, რომ ეროვნული ბრძოლის მებაირალტრეთ ჩვენ ვხედავთ დღეს ქართველი ერის იმ ნაწილს, რომელიც ინტერნაციონალიზმის გრძნობითა და იდეებითაა გაქვლითლი: მებრძოლი ერის მოწინავე რაზმში ქალაქის პროლეტარიატი ჩამდგარა, რადგან მას კარგად ესმის, რომ მისი მიზნების განხორციელება შეუძლებელია, სანამ მის ქვეყანას უცხო ძალა ჰკრობს. ქართველ მუშებს თავისუფალ საქართველოშიაც კარგათ ესმოდათ, რომ მათი კლასური ინტერესები საუკეთესოთ საქართველოს სახელმწიფოებრივობის კალაპოტში განხორციელდებოდა და განა ბუნებრივი არ არის, რომ დღეს ქართველი მუშა გამოდიოდეს ჩვენს დამოუკიდებლობის დამცველათ? განა გასაკვი-

F8345

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა



რია, რომ მოძალადებთან ბრძოლაში გამო-
 წრთობილი ქართველი პროლეტარიატი ედგას
 სათავეში დღევანდელ ბრძოლას? გაიხსენეთ ბ.
 სტალინის და თფილისის მუშების შეხვედრა
 ნაძალადევიში. განა ქართველი პროლეტარია-
 ტის კლასიური გამოსვლა იმავე დროს უაღრ-
 ესად ეროვნული ხასიათის გამოხვლა არ იყო?
 განა ნაძალადევის კრება საუკეთესო მაგალითი
 არ იყო ეროვნულ-თავმოყვარეობის, ქართული
 სახელმწიფოებრივობის დაცვის და ქართველი
 ერის მოძალატეთა შერცხვის და გაბაზების?
 შეუპოვარ ბრძოლაში ეროვნულ განთავისუ-
 ფლებისთვის ქართველ პროლეტარიატს გვერდ-
 ში უდგას და ზურგს უმაგრებს თითქმის ყველა
 სხვა კლასები და ჯგუფები ქართველი ხალ-
 ხისა. ქართველმა გლეხობამ ფ. მახარაძის მო-
 გზაურობის დროს, 26 მაისს და სხვა მრავ-
 ალ კერძო გამოსვლებში დაამტკიცა, რომ
 ის ჩვენ პროლეტარიატთანაა. ასევეა სხვა
 ელენენტები და ჯგუფები ქართველი ხალ-
 ხისა. გაიხსენეთ პირველი დიდი—უსიტყვო,
 მარა საოცარი სიძლიერის დემონსტრაცია თფი-
 ლისში; ომის გმირების დასაფლავება მარტ-
 ში. შექმდე—მაისში სამშენდრო ტაძრის ეზო-
 ში გადახდილი სამგლოვიარო პანაშვიდი,
 26 მაისის ერთსულოვანი ბოიკოტი თფი-
 ლისში, ქუთაისში, ბათუმში; გაიხსენეთ თუ
 გინდ მანიფესტაციები «ლაღატის» და «სამშო-
 ბლოს» წარმოდგენის დროს! განა ყველა აღ-
 ნიშნულმა და მრავალმა სხვა გამოსვლებმა არ და-
 ამტკიცა, რომ ქართველი მუშა, ინტელიგენცია,
 წვრილი და საშუალო ბურჟუაზია, მთელი ქარ-
 იველი ერა დღეს ერთის მიზნით, ერთის მის-
 წრაფებით არის შეკრებილი? ყველა ამ გამო-
 სვლებში ზოიშალა სოციალური და პარტიული
 დაცოფა: აქ თქვენ ვერ ხედავთ ვერც დედერა-
 ლისტს, ვერც სოციალ-დემოკრატს, ვერც «სხი-
 ველს», ვერც ნაციონალ-დემოკრატს. გამოდით
 ბოლშევიკების წინააღმდეგ და თქვენ არავინ
 გაათავს რაიმელ პარტიას ეკუთვნით: წამსვე

გვერდით ამოვიდგება ყველა წყნებისა და შე-
 ხედულების ხალხი.
 მაგრამ თუ ასეთია ქართველი ხალხის სულის-
 კვეთება და მოქმედება, თუ ასეთია ყველა პარ-
 ტიული მასის სულიერი განწყობილება, ასეთივე
 არაა, საუბედუროთ, ზოგიერთი პარტიული
 ხელმძღვანელი წრეების სულისკვეთება და სა-
 ქმიანობა.
 შემთხვევითი მოვლენა არაა, რომ ბოლშევი-
 ზმის წინააღმდეგ წარმოებულ ეროვნულ ბრძო-
 ლას საქართველოში სოციალ-დემოკრატიული
 პარტია წინამძღოლობს. ამ პარტიას ქჷანდა
 უდიდესი გავლენა ქართველ ხალხში, ეს პარტია
 ხელმძღვანელობდა რევოლიუციურ ბრძოლას
 წარსულში, მას აქვს უნარი და ტრადიცია მძიმე
 პირობებში მოძალადეთა წინააღმდეგ ლეგალურ
 თუ არა ლეგალურ ბრძოლის წარმოებისა. მარა
 მარტო ეს თვისებები არ იქნებოდა საკმარისი
 დღევანდელი ბრძოლის სახელმძღვანელოთ. თუ
 სოც.-დემ. მოღვაწეებმა დღევანდელ პირობებ-
 შიაც შესძლეს თავის ირგვლივ თითქმის მთელი
 ერის ძალების შემოკრება, ეს იმიტომ, რომ
 იგინი დღეს სწორათ გამოხატავენ ხალხის სუ-
 ლისკვეთებას, მათ დღეს პირველ ადგილზე
 ქართული სახელმწიფოებრივობის დაცვა წა-
 მოაჯენეს. შეგიძლიათ გიყვარდეთ ან არ გი-
 ყვარდეთ ეს პარტია, თანაუგრძობდეთ ან
 არა მას, მარა ერთს ვერ უარყოფთ: დღეს
 იგი პარტიულ კაპიტალის შექმნაზე არ ფი-
 ქრება, ამისათვის არ იღწვის. პირ-იქით,
 დღეს იგი ეძებს სხვა პარტიებთან შეთან-
 ხმების გზას, მათთან საერთო მოქმედების
 საშუალებას, რადგან დღეს იგი უპირველეს
 სოცლისა საერთო, ეროვნულ მიზანს ემსაუ-
 რება. ამიტომაც, რომ სოც.-დემ. მოღვაწეებს
 ზურგს უმაგრებს არა მარტო სოც.-დ—ლი მასა,
 არამედ სოცელი ქართველი მოქალაქე. მათ ტაშს
 უკრავს როგორც სოც.-დ—ტი, აგრეთვე დედ-
 რალისტი, ნაციონალ-დემოკრატი და სხვ. მეო-
 რე მართ, ამიტომაც, სხვათა-შორის, რომ ამ

სტალინი
 1928
 10



პარტიას განსაკუთრებული გააფთრებით ებრძვიან ბოლშევიკური ჯალათები. მათ იციან, რომ სოც.-დ.—ის თავის მოკვება, მისი განადგურება იქნება დღეს ქართველი ხალხის ეროვნული ენერჯის მოსპობა, მისი უმთავრესი ფორმის გარღვევა, მთელი ერის პოლიტიკურათ დაუქლურება და მისი დამონებისათვის ნიადაგის შექმნა. გაიხედეთ ენ წის დღეს ბოლშევიკურ ჩეკა-საკრობილებში? ვინ გახადეს იძულებული არა ლეგალურ მდგომარეობაში გადასულიყო? სხვა პარტიებს და მათ მოღვაწეებს თითქმის არ სდევნიან, ხშირად ელოლიავენებიან კიდევ ბოლშევიკები. რატომ? ამის პასუხს გვაძლევს ჩვენი კორესპონდენტი-ნიტიკომ, რომ სოც.-დ.—ასთან ბრძოლაში ბოლშევიკებს მოკავშირენი ესაქირებოდათ და ამ მოკავშირეებს იგინი სხვა პარტიებში ეძებენ. ზოგიერთი ამთგანი კი, რომელნიც თითქოს შეუბრძვებელი და შეუბრალელები მტრები უნდა იყვნენ ბოლშევიზმისა, გულზე ხელდაკრეფილი სხედან, მათი მოღვაწეები საჯაროთ თავის პოზიციას, თავის დამოკიდებულებას ბოლშევიზმთან არ არკვევენ და თითქოს განძრახს სოც.-დ.—იას უტოვებენ ბურთსა და მოედანს საშობრბლოს მტარვალეობთან ბრძოლაში. მაგ., მემარჯვენე ჯგუფების ხმა ჯერ არ გაუგონია ქართველ ხალხს მისი ისტორიის ამ საბედისწერო ხანაში. რით ახსნათ ეს? პირადი სილაჩრით? არა, ჩვენ ასე ვერ დავამიკრებთ ამ მოღვაწეებს. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე მდგომ პოლიტიკურ პარტიებს, და კერძოთ მემარჯვენე ჯგუფებს, არა ერთი და ორი შემთხვევა ექლევათ სოც.-დ.—თან ერთათ ზოგადი ეროვნული ხასიათის გამოსვლა მოეხდინათ სრულიათ ლეგალური, თუ გნებათ, ლოიალური ფორმის. ასეთი ნაბიჯების მნიშვნელობაზე ლაპარაკი შედმეტია. რატომ არ მოხდა ეს? რატომ აუარეს გვერდით ამ საერთო ეროვნულ გზას? აბა, დავეუკვრდეთ ერთ წამს ასეთი საქციელის პოლიტიკურ შედეგებს?

განა ამით არ უადვილდებათ ბოლშევიკებს თავის ბატონოზის გახანგრძლივება? განა ამით მათ საშვალეობა არ ეძლევათ სასტიკ ბრძოლაში მოწინააღმდეგე ძალები ცალ-ცალკე დაამარცხონ და შემდეგ მთელი ერთ გასტეხონ და დამონწვეონ?

მოსკოვის აგენტებს კარგათ აქვთ შესწავლილი ძველი რომაელების სიბრძნე: გათიშე და იბატონე! ამიტომ ისინი ყოველგვარ საშვალეობებს მიმართვენ, რომ რამენაირათ ქართველი ხალხი დაანაწილონ, ერთი მეორეს წაჰკილონ. ამიტომ ელოლიავენებიან ისინი ევლას, ვინც დღეს გაჩუმიებულია და მათ წინააღმდეგ არ მოქმედობს. ამიტომ ეარშიევიანი და აქებენ ე. წ. უპარტიო ინტელიგენციას, რომელმაც, თურმე ნუ იტყვით, ფ. მახარაძის და კომპანიის განცხადებით, უდიდესი მონაწილეობა უნდა მიიღოს საქართველოში საბჭოთა ძალა-უფლებების დამცარების საქმეში!

ვინც ამ პროვოკაციაზე ებნება, ვინც ბოლშევიკების ტყბილ კანგებს უსმენს და სდუმს, მათ სიყალბეს არ ამხელს, აქტიურათ მათ არ ებრძვის, ის ნებით თუ უნებლიეთ მათ შეეღლის.

დღეს ქართველ ხალხსა და მის მოაღადეებს შორის აღმართულია სამეკდრო-სასიციოცლო ბარიკადი. ან აქეთ, ამ ბარიკადის ქართულ მხარეზე, მებრძოლ ხალხთან ერთათ, ან იქით, მტრის მხარეზე! განზე გადგომა, დეზერტირობა—ეს მტრის ხელის შეწყობაა.

ჩვენი გულწრფელი სურვილი და მთელი ქართველი ხალხის მოთხოვნაა: ყველა, აზოუ-დღეს გვერდში მებრძოლ ერს! დღეს მთელი ქართველი ერთი ერთხმად მოითხოვს ამ საწინე-ლი განცდის ქამს, როცა ერის ყოფნა-არყოფნის საკითხია დასმული—პირადული და ჯგუფური მოსაზრება ყველამ განზე გადადევს და მტარვალეობთან ბრძოლაში დიდმა და პატარამ ცხოველი მონაწილეობა მიიღოს!

მიმოხილვა.

რა ხალხია?

კომუნისტების ბნელ საქმეს და უფრო ბნელ მუშაობას კარგათ აუღეს ალღო ყველა გარე-წარებმა და არამზადებმა. და ეს ელემენტები დიდის სიხარულით მიისწრაფიან, რომ მიიღონ დიპლომი კომუნისტის და და ასე «პასპორტი» იშოვნონ თავის «საქმების» მოსაკვარზხენე-



ბლათ. ზოგიერთი კომუნისტები ამას აუღელ-
ვებია და აი სენდისის გასაწმენდათ იგინ ხან-
გამოშვებით ათავსებენ განთიში წერილებს,
სადაც აღნიშნულია პარტიის გაწმენდის საკი-
როება და აუცილებლობა.

აი მაგ. ქუთაისის ახალგაზრდა კომუნისტთა
ორგანიზაციიდან სწერენ: «რომ მასში (სულ
150 კაცია) შემოპარულან საკმაო რიცხვი მაგენ-
ელემენტების. ეველა ეს დამტკიცდა უტყუარი
ფაქტებით, ბევრი ჩვენ კავშირში შემოსულა
მხოლოდ მიტომ, რომ ხელში ევდო იარაღი
და მოგზმარა იგი კავშირის და თვით საბჭოთა
ხელისუფლების სახელის გატეხისათვის. გამო-
ირკვა, რომ ბევრი შემოპარულა ქუთაისის ორ-
გან. სასპეკულიაციოთ, რომ როგორც კომ.
კავშირ წევრს ვადვილებოდა სპეკულიაციის
წარმოება». (მუშა და გლეხი № 21, 9 ივლ.
21 წელი). ეს ახალგაზრდობაში შეპარულა ასე-
თი სენი, უფროსებში კი ის სრულიად მეფობს.
ამას მოწმობს, თუნდაც სია მათი პასუხისმგე-
ბელი პირების: ს. გეგეკორიანი დაწებული
და უკანასკნელ ჩეკისტთი გათავებული, ვინ
გინდა აქ ვერ წახლა! ანაჩი, ქურდი, მტაცებე-
ლი, კაცის მკვლელი, სპეკულიანტი, ერთი სი-
ტყით ეველა, გარდა პატროსან მოღვაწისა და
მით უმეტეს რევოლიუციონერისა. საკმარისია
თუნდაც გადათვალეოთ ამ ნომერში ორი
მაზრიდან მოწოდებული ცნობები ბოლშევიკ-
მოღვაწეების შესახებ. ახალგაზრდა კომუნისტ-
თა კავშირი ტყვიანთ სწუხდება თავისი წევ-
რების სიწმინდენ. რაც კომუნისტებმა საქარ-
თველოს პირი და ვენბა მიაღწეს, იმას ვერა-
ვითარი სპეკულიანტი; ვერავითარი ანაჩთა
ბრბო ვერ მიაღწებდა.

უბედურება კომუნისტების ზოგიერთ წევრე-
ბში კი არაა, არამედ თვით კომუნისტების პარ-
ტიაში და მის მოქმედებაში; ამიტომ საქმის
გამოწმობება შეიძლება არა ერთი ან ორი
სპეკულიანტის პარტიიდან. გავდებთ, არამედ
მთელი კომუნისტურ პარტიის დანგრევით და
გაქარწყლებით... მხოლოდ ამით გაიწმინდება
საქართველო აშშორებული ქაბობისაგან.

რუსეთის წაქეზი.

საქართველოს დემოკრატიამ როგორც ვიცით,
შექმნა თავის შეიარაღებული ძალა—სახალხო
გვარდია. იგი შესდგებოდა თავდადებული რე-
ვოლუციონერებისაგან და ერთგულ დამცველათ

ველინებოდა რესპუბლიკას ვოველ გასაქირის
ღარს. რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველათ
წარმოშობილი, იგი ერთსულოვანთ უმკლავდე-
ბოდა რევოლიუციის ეველა მტრებს, საიდანაც
და რა ფერით შევსილიც უნდა მოვლინებოდა
იგი ჩვენს რესპუბლიკას. შეგნებულმა მებრძო-
ლებმა უკანასკნელ მომენტამდე დაიცვეს თავის
სახელი და თავის სისხლით დაამოწმეს თავის
რევოლიუციური სიგვარული დემოკრატიული
რესპუბლიკის და თავისუფლების. სხვა რეაქ-
ციონერებთან ერთათ კომუნისტებიც მეტათ
არიან გაანჩლებული ამ გვარდიელებზე. მარ-
თლაც, სადამრო ხომ არაა! მათ არ იცენვ ამ
კომუნისტური ჯამბაზების რევოლუციური
თვისებები და მას ისევე უმასპინძლებოდენ, რო-
გორც დენიკინის შავ ძალას. კომუნისტებს ახ-
სოვთ მათი თავგანწირვა, ახსოვთ, რომ გვარ-
დია არა თუ ამარცხებდა მათ ფიზიკურათ, არა-
მედ კლავდა მორალურათ და იდეურათაც ევე-
ლგან, სადაც კი მიწვდებოდა. ახსოვთ, რომ
გვარდია არა თუ აცხრობდა მათგან შეუგნებელ
ხალხში დანთებულ არსებითათ კონტრ-რევო-
ლიუციურ გამოსვლებს, არამედ შეგნების შუქი
შექონდა თავის სიტყვით და საქმით თვით ამ
მოტყუებულ მასაში, რომ შემდეგში ვოველ-
გვარი შევცდომებისგან და კომუნისტების მოს-
ციდულ ავანტიურისტებისაგან დაეწვო. და ორ
დღეს, საქართველოში შემოქრის შემდეგ ეს
ეპეტატონები ერთ შემთხვევას არ უშვებენ, რომ
გვარდიას მისწვდენ საცენათ, მაგრამ ამ ორ-
განიზაციას რომ ვერაფერი მიუგნეს საღანძღა-
ვი, მოსდგენ ქორებს მისი მეთაურის ვ. ჯუ-
ღელის შესახებ. ჯერ იცო და ქვეყანა გამოა-
ტრუეს იმის ძახლით, თითოს ვალ. ჯუღელს
უტყოეთის ჯარის შემწეობით ქონოდეს განზრ-
ახული უკანვე დაბრუნება და საქართველოში
სამოქალაქო ომის დატრიალება. რომელიდაც
პროვოკატორი კომუნისტის «ინტერვიუს» რამ-
დენიმე თვე ლეჟდენ და ცოხნიდენ ამ მიზნით.
ახლა როცა ეს სამსოლაათო შემოვლიათ, ვილც
კულუტეს მათთვის მიუწოდებია ხალი გასარ-
თობი: «გვარდიის თავმჯდომარე ვ. ჯუღელი
ავკარათ ეიდდა სტამბოლის ქუჩებში ოქროს
ხატს გელათის მონასტრიდანოა. საბარლო,
გონება-დაჩაჩანაკებული კომუნისტები! თხავენ
ასეთ სისულელეს, შემდეგ თვითვე იჯერებენ და
მზიარულათ ხტუნავენ. მაგრამ რა ფასი აქვს მათს



«რწილის ნაებენსა? რა შეხედულებისაც უნდა ვიყოთ გვარდიის მომავლის შესახებ, როგორც არ უნდა გვექონდეს წარმოდგენილი მისი როლი შემდეგში, ერთი ნათელია ცველსათვის: გვარდიამ უკედელი ფურცლები ჩასწერა საქართველოს დემ. რესპ. ისტორიაში და კომუნისტების წკაპურტები ამას ვერ ამოშლიან ისე, როგორც ვერ დამიკრებენ მას შემარჯვენეთა დვარძლიანი კრიტიკა და აუგის თქმა.

ეხეც ოპოზიცია!

ბოლშევიკებს, როგორც ვიცით, დიდი სურვილი ჰქონდათ საქართველოში განსაკუთრებული გზით იარათ. რუსეთის მაგალითით ვისარგებლეთ, მათს შეცდომებს უარვყოფთ და დადებითის გადმოვიტანთო, თავიდანვე განაცხადეს მისმა ხელმძღვანელებმა, მაგრამ დადებითი აღბათ არა აღმოაჩნდათ რა, და რაც გადმოიტანეს—ყოველივე შეცდომა და უკუღმართობა გამოდგა.

სამაგიეროდ მათ ერთი ორიგინალობა დაუშვეს. გაიჩინეს ოპოზიცია, გაიარეს ასე ვთქვათ აზრთა შეხლა-შემოხლა. და ამ როლისთვის მათ გამოიყენეს თავის ძველი მეგობარი, მათ რევოლუციონერობაში დაჯერებული საბუთებით თუ ფულებით, ბ-ნი თეოდ ლონდრი. ამ უკანასკნელმა დაიწყო თავის ხელობის ასრულება სოც.-დემ. დადი ლანძღვით, ბოლშევიკების აღმოსავლეთის ავანტიურისთვის ქება-დიდების შესხმით, საქართველოს დაჯრბობის გამართლებით და მრავალი სხვა სამლიქველო სიტყვებით, ხოლო დაათვა თავის პარტიიდან კუდამოკუებული გამოქცევით, და ახლა ბოლშევიკებს ეკამათება მოხელეთა რიგებზე, რუსის ჯარის სიმრავლეზე, ქართულ სოფლებში რუსების ჩასახლებაზე და სხვა ასეთებზე, ერთი სიტყვით ჩიჩიკედელაობის სფეროში უწევს ოპოზიციას. ბოლშევიკებსაც უნდათ, ისინი მსოფლიო ამცნობენ. აი თეოდო პარტია გვიან მომხრბობლით, ხოლო თაის მოშინაურებულ მკუთარას ხან პურით და ხან პანდურით უმასპინძლდებიან. ამ თავისგანვე შექმნილ ოპოზიციანზე გამარჯულებას კომუნისტური ორგანოები დიდ ღირსებათ ითვლიან და მათი სახით საქართველოს საუკეთესო ინტელიგენციის მომხრბობას იჩემებენ...

«სხიველი» ბ. მ. ხოუ—ს გამოსვლა კომუნისტების შეხანზულ პროფ. კავშირების ცრი-

ლობაზე უადგილო მილოცებები და თქმა გუნდის «სხივის» ნომრებში მოთახებული აზრები საბჭოთა სისტემის პრინციპალურათ მიღების შესახებ, უკვე ერთას ასხამენ ბოლშევიკებს და ისინი ამავე აცხადებენ: «უკვე არ არის ჩვენ წინ გვაქვს სურათი დამოუკიდებლების (სხიველების) და სოციალ-დემოკრატიის სრული დარღვევის და მათი დაშლის პროცესში მათ ხარჯზე საქ. კომუნისტების პარტიის გაძლიერების და გამაგრების». ლონდრებისგან გამაგრება არ მოსწონებდა—ეწინარეობდა წალკა-ბუღლი საქ. კომუნისტებია. პოლიცია ღირს ოპოზიციით და ოპოზიცია პოლიციით. ტევილა კი არ წარმოებს მათ შორის ერთიერთობა იდეური და ფინანსური... «სხიველებს» კი ვერ მოგვულოცავთ ნებსით თუ უნებლიეთ ამათ ბლოკში მოქცევის წრველ შემთხვევაში ისეთებს მათ შორის, რომლებიც «კომუნისტურ» მოლოცვებს არ იზიარებენ.

მკრეანის გრესილან.

«ყველას გურჩევთ წაიკითხო!»...
 ფრანკფურტელი «ფოლკსშტამე», გერმანიის სოც.-დემ. პარტიის ორგანო საქმრბეთ გერმანიაში, უძღვნის დღღღტრანს კ. კაუტკის ახალ წიგნს საქართველოზე. «ბიბლიოგრაფიულ წერილის ავტორის აზრით ახალ წიგნაკ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოს ვასაცნობად, არამედ გერმანიის სოციალისტურ პარტიების შინაურ-განწყობილებსათვისაც. ამ წიგნში ავტორის აზრით—გაუცკი ისევ უახლოვდება მეუმრავლესეთა პარტიის შეხედულებებს სახალმწიფოზე და სოციალისტური მთავრობის რთლზე, განსაკუთრებით საინტერესოა წიგნის თეი კაპიტალიზმის და სოციალიზმის შესახებ, რომელშიაც კაუტკი მარქსიზმამდე არსებულ უტოპიებს და «დამოუკიდებელთა» საბუთთა სისტემის იდეოლოგიებს უპირდაპირებს ნამდვილ დემოკრატიას, რომლის ბატონობის დროს—კაუტკი ბაზს უსვამს აქას—სოციალისტური მოვრობაც შეასრულებს სახარებად და ინსტრუქციისთვის ხელს. შემწეობა როლს, თუ მას გათვალისწინებული აქვს შესაძლებლობის სახლებში და მოქმედებს ეკონომიურად აუცილებელისა და მისაღწევის ჩარჩო-

* იხ. თავისუფალი საქართველო № 2.



ებში; ასეთი იყო მართლაც საქართველოს მთავრობა, რომელიც ამით შეიქმნა ჩვენი დიდი მასწავლებლების, მარქსის და ენგელსის, გონიერი მოსწავლე».

«კაუტცის უკანასკნელი წიგნის წაკითხვას ჩვენ დაბეჯითებით ვურჩევთ ცველა სოციალ-დემოკრატს, განსაკუთრებით კი იმათ, ვინც მოუთმენლად და თავდაპირველად ილტვიან წინკომუნისტები კი, რა თქმა უნდა, ამ წიგნიდანაც ვერაფერს ისწავლიან».

სოციალისტური მართველობა.

«საქართველოს დემოკრატია» ვლ. ვოიტინსკის, რომელიც ფრანგულ ენაზეა გამოცემული, იწვევს გამოხმაურებას რუსულ პრესაშიაც. საყურადღებოა ვრცელი წერილი ამ წიგნის შესახებ ნ. ს. რუსანოვის, რომელიც სოც.-რევ. ერთ-ერთ გამოჩენილ წევრათ ითვლება.

სხვათა შორის იგი სწერს:

«ამ წიგნის მესამე განყოფილებას ჩვენ განსაკუთრებით ვურჩევთ წასაკითხათ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს, რომელნიც მიუხედავათ იმისა, რომ სოც.-რევ. პარტ. პროგრამაში დიდი ხანია აღიარებულია ერთი თვითგამორკვევის უფლება; დღემდე მოჩვენები ვეფიოკოდერკაინიკები» არიან და აღსვთობებს გამოსთქვამენ რუსეთისაგან «განპირებებს» და მათი შორის საქართველოს ჩამოშორების გამო. მათ სიტყვიერი ლიბერალიზმის მიხედვით ყოველი ასეთი გამოყოფა უნდა მოხდეს მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით; რითაც ისინი ემსგავსებიან ქორწინების იმ ნახევრათ რეფორმატორებს, რომელნიც მზათ არიან იცნონ განქორწინება; თუ ორივე მხარე თანახმაა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდათ დადასტურონ განქორწინება, რაცა მხოლოდ ერთი მხარე თხოულობს კანონიერ შეუღლების გაუქმებას; თუნდაც სწორეთ ეს მხარე იყოს მსხვერპლი და მფარვე კი მტანჯველი. ყოველი მიუღლომელი მკითხველი, რომელიც გაეცნობა ამ მესამე განყოფილების 4 თავს: «ამიერ კავკასია ბოლშევიკების გადატრიალების შემდეგ», «პირისპირ ოსმალეთთან», «ამიერ კავკასიის გამოყოფა», «ამიერ კავკასიის დაშლა», მიხედება, რომ საქართველოს განთავისუფლება დაშლილი რუსეთის პოლიტიკური დამოკიდებულებისაგან, მისი გამოყოფა, ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა, რაკი რუსეთმა, რომელიც ბოლ-

შევიკებს ჩაუფარდათ ხელში, კავკასიის არცემითი სასიცოცხლო ნაწილებს ოსმალეთს გადასცა ბრესტლიტოვკის ზავის ძალით და ამით აშკარათ დადგა ამ ბრძოლაში ოსმალეთის მხარეზე».—

ავტორი სწუხს, რომ საქართველოს შემოქმედებითი მუშაობა ასე უღროთ იქნა შეწყვეტილი ბოლშევიკების მიერ, მაგრამ ფიქრობს, რომ «ყოველ შემთხვევაში ის, რის გაცემებაც მოასწრო საქართველოს სოციალისტურმა მთავრობამ ნ. ქორდანის მეთაურობით ამ სამი წლის განმავლობაში, დიდთ მნიშვნელოვანია არა მარტო ისტორიკოსისათვის, არამედ აგრეთვე პრაქტიკული პოლიტიკოსისა და მეცნიერი —სოციალისტისათვის».

მისი აზრით სასურველია, რომ ეს წიგნი რუსულ ენაზედაც დაიბეჭდოს.

მიმართვან ევრ. მუჟებნისადმი

განუჩჩველად მიმართულაზისს.

ძვირფასო ამხანაგებო!

მეხუთე თვეა, რაც საქართველოს დემოკრატისკუბლიკის წკობილება უტხოეთის შეიარაღებულ ძალებმა დაანგრია და ბოლშევიკური რევოკომების ხელისუფლება დაამკარა. საქართველოს მუშებს, რომლებსაც გეჟონდა მოძრაობის ხანგრძლივი ისტორია, პროფესიონალური და სოციალური ორგანიზაციები, ასეთი საშინელი რეჟიმი არ მოგვსწრებია ცარიზმის საშინელ რეჟიკის ხანშიაც კი.

იმ მძიმე პირობების გამო, რომელშიაც ჩავვაგდო ხუთი თვის ბოლშევიკურმა ძალადობამ, ჩვენ იძულებული გავხდით მთელი ქვეყნის მუშათა კლასს ვაცნობოთ ჩვენი აუტანელი ტანჯვა, რომელიც ხდება სოციალიზმის სახელით.

25 თებერვლიდან საქართველოში გათავდა მუშათა ორგანიზაციების თავისუფალი არსებობა. საქართველოს დაპრობიდან ჩვენ გვიქცვიან, როგორც მონებს (რომლის მგზავსი ჯერ ისტორიას არ ახსოვს), წაგვართვენ და მოგვისპვის სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების თავისუფლება. საქართველოს მუშები განუჩჩველად დარგისა სამხედრო ბეგარის ქვეშ გამოგვაცხადეს. ყველგან დაარსეს არაჩვეულებრივი კომისიები («ჩეკა»), რომლებიც უბ-



რალა ლაპარაკისათვის ატუსაღებს მუშებს მასიურად. მოწინავე მუშებს ატყვევებენ, ითხოვენ ადგილიდან სოველივე უფლებების აკრძალვას და სახლებზე თავიანთ სამშობლო კუთხიდან. პროფესიონალურ კავშირებში ჩვენი არჩეულები, უპარტიონი და სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლები სულ ეგელვან გარეკეს და ზევიდან დანიშნენ სრულიად უცხო პირები. კრებებზე უსწავლით თქმისათვის, და დეკლარაციისათვის სიტყვით დასჯა შემოიღეს. ამქველევინებენ და ნესტიან სარდაფებში და შეუკოთხველად, გამოუძიებლად სჯიან სხვა და სხვა წადით.

ტრამეის მუშათა პროფესიონალური არჩევნები, რომელიც მოხდა აპრილის შუა რიცხვებში დაშალეს, არჩეულები დაატყვევეს, კრებებზე უბრალო შემკითხველებიც დასაჯეს.

ასეთივე ბედი ეწია რკინის-გზის, დეპოს და თფილისის ყველა საწარმოო დარგის მუშებს. სრულიად საქართველოს მასწავლებელთა პროფკავშირთა ცრილობის მიერ არჩეული გამგებთა გადააყენეს და ზევიდან სხვა და იშენეს.

განსაკუთრებული ვნგრევათ არბევენ რკინის-გზის მოწინავე მუშებს. ამ უკანასკნელ დროს მეთოდური ნასათით მიიღო რკინის-გზის მუშების გადასახლება. ერთი პარტია ძველი მუშების უკვე გაგზავნეს. ეხლა უპირებენ 1000-ზე მეტ მუშას გადასახლებას უცხო ქვეყნის რკინის-გზის შტოებზე. ძნელია შექმნილი მდგომარეობის საშინელი შედეგების გატკნობა. ნივთიერად მუშების თანაფარდოვე მდგომარეობა საშიშარია. ჩვენ მოგველის ფიზიკური გახრწანა. დღეში 1/4 გირვანჯა ჰქვასაც ვერ ვღებულობთ. სხვა სურსათი სრულიად აღარაა. ჯამაგირები ძველებურია და გადის თევები არც ის აგვიღია. სოფლად წასვლამ სხვა სამეურნეო სამუშაოზე გადასვლა აკრძალულია. ამისთვის დახვრება მოგველის. მუშათა უბნებში შიმშილია, ავთმყოფობა და ზოლერა მეფობს. იღუპება მუშათა ოჯახები. ადამიანურად ენის ამოღება შეუძლებელია. გამეღებულია ტერორი. მთელი საქართველოს მუშები ვანუჩივლად პარტიული მიმართულებისა საკრობილევებში სხვად და სიმშობლი, ავთმყოფობა მუსრს ავლენს მათ. ადამიანთა სიცოცხლე არაფრად დასობს. ზგრეტენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, ისეთებსაც ვისაც არას დროს არავითარი კავშირი არ ჰქონია პოლიტიკურ

მოძრაობასთან. ზგრეტენ, იმისთვის რომ მოხერხდეს ემსახურებოდენ მთავრობას, სახელმწიფოს, სამშობლოს.

ჩვენ გაცნობებთ ცოცხლიე ამას ძვირფასო ევროპის მუშებო!

გაცნობებთ, რომ ვაივით ჩვენი ტრაგედია, იჩქარეთ!.. ნახეთ ადგილობრივად საქართველოში საქართველოს დევნილ მუშათა ცხოვრება. გამოაგზავნეთ თუ გინდ თით მარტო კომუნისტები, რომელთა სახელიც დღეა ჯერ უცნაური და უცნობი საშინელებანი ისტორიაში.

ჩვენ მოვლელით თქვენს ძმურ სიტყვას, თქვენს განაჩენს.

თფილისის მუშები. ხელს აწერს 3449 კაცი.

7 აპრილი 1921 წლისათვის.

ეს მოწოდება შედგენილია იმ დროს, როცა მოწინავე მუშები და სოც-დემოკ. ინტელიგენცია ცხატებში გამოაყენდნენ. მისი ავტორი თითი მუშათა მასაა. ვბეჯდეთ ვას სრულიდ უცვლელათ.

რედ.

მოვლდება.

რუსეთში დიდი შიმშილობაა.

ბოლშევიკურმა რეჟიმმა გუშინ სხეების მასწარმებელი ქვეყანა დაამოწა და გაალატაკედღმდის ეს ფაქტი სავსებით არ ჩნდა გარეშე მატურბლისთვის. ევროპის მუშათა კლასს კიდევ ეგონა, რომ ბოლშევიზში რევოლუციურ ბრძოლას აწარმოებდა და ქვეყანა განახლებობს და პროგრესისკენ მიავლდა. მარატუსეთის ახლანდელმა საშინელმა მდგომარეობამ ეცლეს მარტივად და გასაგებად დაუყენა თვალწინ ბოლშევიზმის სიდუხჭკივ და მისი სრული გააკოტრება.

მთელი განათლებული კაცობრიობა შეძრწუნებულია რუსის ზალზის ტრაგედიით. ეველს ლაპარაკობს დაზარებულზე, ყველა ცდილობს შეძლებინდაგვარათ მიაწოდოს ლუკმა პური რუსეთის გაუბედურებულ მცხოვრებლებს. ზოცვა-კლტებსა და კაცთმოდულოების აღაგს იჭერს გრძობა სიკვარულისა და შეტარებლისა. ჩვენ, პატარა ერის შვილებს, გვაზარებს და

გვაფრთოვანებს ეს გარემოება. ჩვენ თითონ სიამოვნებით მივიღებდით მონაწილეობას ამ დახმარებაში.

მარა დღეს ჩვენ მოშორებული ვართ ჩვენს ქვეყანას. ხალხის წარმომადგენლებს, დამფუძნებელი კრების წევრებს, საშუალება არ გვაქვს მივიღეთ სამშობლოში, ჩვენ ხალხთან.

საქართველო ნ თვია დაპყრობილია. იქ ბატონობენ რუსეთის საოკუპაციო ჯარები, რომელიც უმეტეს წილათ ჩვენი ღარიბი ხალხის ხარჯზე ცხოვრობს.

დამპყრობელნი მოურიდებლათ თარეშობენ საქართველოში. მათ შემოსვლისთანავე გარყვეს საყოველთაო და პირდაპირი ხმის მიცემით არჩეული დამფუძნებელი კრება, გააუქმეს ქალაქებისა და სოფლის თვითმმართველობანი, დაშალეს მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირები, რომელთა ადგილას შემოიღეს ინსტიტუტი წვეიდან დანიშნულ აგენტებისა. თუ რამ სიმდიდრე მოიპოვებოდა—დაწყებული რკინის-გზის და ტრამვაის ვაგონებით და ორთქივლებით და გათავებული საოჯახო ნივთებით—ყველაფერი გაჩიდეს რუსეთში. სოფლებში ჩაყენებულმა ჯარებმა მუუქამეს გლეხებს საკუთარი სარჩო, მუშა საქონელი, სათესლე პური. და ეს მაშინ, როცა საქართველოს ყოველთვის გარედან შემოქონდა საჭრად, როცა ადრე გაწაფხულზე ომი იყო და მუშა-ხელი ბრძოლის ველზე იმყოფებოდა, ხოლო შემდეგ ხენა-თესვის თითქმის მთელ სეზონში დიდი გვალები დაიჭირა, თუ რამ დათესილი იყო, სანახევროთ ამოხმა, ხოლო ახალის დათესვა მეტად ძნელი გახდა. ამასთან, წარსულ შემოდგომაზეც გამუდმებულ წვიმების გამო ძლიერ ცოტა დაითესა—ჩვეულებრივის 15—20%.

და აი, საქართველო, მოსკოვის ჯარების მიერ დაპყრობილი და აოხრებული საქართველო, დამშვეულია. უკვე დღესაც მოიპოება მთელი პროვინციები, სადაც, მიუხედავათ ახალი მოსავლისა, საკმელი პური არ არის და მცხოვრებნი ზურგზე ტომრებ აკიდებული ფეხით მიდიან სხვა ადგილებში—ეგებ სადმე ლუკმა პური ვიშოვნოთ. ამავე დროს ქალაქების მცხოვრებლები, სადაც ერთი ნაწილი არაფერს არ ღებულობს, ხოლო მეორე ნაწილი მუშა-მოსამსახურეების სახით იღებს მარტო $\frac{3}{8}$ გირ, საჭაველ პურს—ეს მცხოვრებლები, სიმშვილი-

საგან ღონე მიხილი, სხვა და სხვა ქვეყნებში სენის მსხვერპლი ხდებიან. ხოლგრა, ტიდი, დეზინტერია და სხვ. მოედვა ქალაქებსა და სოფლებს და მუსრს აელეგს ხალხს.

ბოლშევიკები კი განაგრძობენ თავის ტირანიულ მართველობას უცხო ხიშტების წალობით.

ისინი განზრახ მალავენ საქართველოს კატასტროფიულ სასურსათო და ეკონომიურ მდგომარეობას. ქართველი ხალხი, რომელიც დღიან-პატარაიანა, განურჩევლათ მდგომარეობისა და მიმართულებისა, გაქვნილია ბოლშევიზმის სიძულვილით—ბოლშევიკებს ესურთ შიმშილით ამოხოცონ. დეე, გაწადეს «თეთრ-გვარდიელთა» საქართველო—აი მათი განზრახვა.

მარა ეს კიდევ ცოტაა. ბოლშევიკები პირდაპირ დასცინიან ქართველი ხალხის გაპირვებას, მის უდიდეს ტრაგედიას: დამშვეულ და გაპარტახებულ საქართველოში მათ შეადგინეს კომიტეტები, რომელთა დანიშნულებაა ფართეთ მოაგროვონ «შეწირულება» რუსის ხალხის დასახმარებლათ. ამასთან ერთად მოსკოვიდან გადამოცემულია ბრძანება უსათუოთ შემოიღონ და დაუყონებლივ აკრიფონ ყოველგვარი ნატურალური გადასახადი რუსეთისათვის.

და აი, მოსკოვის აგენტებიც ე. წ. საქართველოს რევკომის სახით, ცდილობენ თავის ბატონებს იმედები გაუმარსლონ. მათ უკვე შემოიღეს დიდი ნატურალური ბეგარა მესაქონელების ნაწარმოებზე, მეღვინეობაზე და სხვ. გააწერეს დამშვეულ გლეხებს მილიონ ნახევარი ფუთი ნატურალური სასურსათო გადასახადი, დაადვეს მცხოვრებლებს 50 მილიარდი მანეთის კონტრიბუტია, რომელსაც ქვეყნის მოსატრეუბლათ სანიტარული გადასახადი უწოდეს.

ყოველივე ამას ზედ ერთვის სოციალისტების სასტიკი დევნა. ციხეები საესვა დატუსაღებული მუშებითა და ინტელიგენტებით, რომელნიც მოკლებული არიან სასმელ-საკმელს, საეკიმო დახმარებას და ადამიანური არსებობის სხვა მიუცილებელ პირობებს.

თუ შექმნილი მდგომარეობა კიდევ გაგრძელდა, საქართველოს 3 მილიონი მცხოვრებნი ამოწუნდება შიმშილ-სიცივისა და ბოლშევიკურ ტერორისაგან.

ამიტომ ჩვენ მივმართავთ ყველა ქვეყნის მუ-



შთა კლასს და მთელ განათლებულ კაცობრიობას:

ნუ მისცემთ ნებას საბჭოთა რუსეთს გაკლიტოს თავისუფლებისა და მშვიდობიანობის მოყვარული პატარა ხალხი. შეაჩერეთ საშინელი ბოროტმოქმედება!

დღეს თქვენ ეს შეგიძლიათ, ვინაიდან საბჭოთა რუსეთის მართველები იძულებული არან ხელი გამოგიწოდონ დახმარებისათვის.

დაეხმარეთ გაუბედურებულ, დამშუულ და დათინებულ რუსის ხალხს, მარა მისი სახელით ნუ დაჩაგვრინებთ, ნუ მოასპობიებთ მოსკოვის იმპერიალისტებს ქართველ ერს! არავითარი მოსახრებთი არ შეიძლება ვამართლდეს საქართველოს ოკუპაცია, მისი ძარცვა-გლეჯა. ამისთვის არ არსებობს არავითარი საბუთი გარდა წითელი იმპერიალიზმისა, რომლის მეთოდები მცირე ერებზე ბატონობისა ვაცილებით უფრო უარესი და დამლუპველია, ვიდრე ჩვეულებრივი იმპერიალიზმისა.

ჩვენ მიგმართავთ განათლებულ კაცობრიობას

ჩვენ მივაქცევთ დამშუულთა დამხმარე ორგანიზაციების ყურადღებას მტრის მიერ დაპურობილ ქართველი ხალხის უმწეო მდგომარეობაზე, რათა უკანასკნელს აღმოეჩინოს დახმარება პურისა და მედიკამენტების მიწოდებით. დახმარება უნდა მოეწყოს დამპყრობელთა და მოძალადეთა გარეშე, დამოუკიდებლათ საბჭოთა ხელისუფლებისა და იგი უნდა გატარდეს ადგილობრივი საზოგადოებრივი ელემენტების ცხოველი მონაწილეობით. წინააღმდეგ შემთხვევაში დამშუული ხალხისთვის დანიშნული ლუკმაპურით «ჩეკისტებს» და წითელ არმიელებს გამოაძლებენ და მით თავის ბატონობას გაახანგრძლივებენ.

ჩვენ მოვითხოვთ: დაუჯონებლივ გაიყვანოს მოსკოვის მთავრობამ საქართველოდან რუსის ჯარები, მიეცეს ქართველ ხალხს საშვალეობა თავისუფალი არსებობისა.

ჩვენ ვერ წარმოგიდგენია, როგორ შეიძლება რუსის ხალხი შიმშილოთ წედებოდეს, იგი სხვის დასახმარებლათ და სარჩენათ იცოს გადაქცეული და ამავე დროს ამ ხალხის სახელით შეინახონ სხვის ქვეყნებში მრავალრიცხოვანი ჯარები მხოლოდ იმისთვის, რომ სჩაგრონ და აწვალონ თავისუფლების მოტრფილე მცირე ერები? არა, ეს შეუძლებელია!

და ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ეს მოსტონიერება—საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა და დამშუულ-დაჯანთმოდებულთათვის დახმარების მიწოდება—გახდება მთელი განათლებული კაცობრიობის და უპირველეს ჯგულისა ევროპის მუშათა კლასის მოთხოვნილებათ, რომ ამას აქტიურათ მხარს დაუჭერს ყველა, ვისთვისაც თავისუფლების, ერთა თვითგამორკვევისა და სამართლიანობის უდიდეს პრინციპებს რაიმე ღირებულება აქვს.

ნუ ბატონობს ჩვენზე ძალადობა რუსის ხალხისა და რეუოლიუციის სახელით!

იხსენით საშინელი სირცხვილისაგან ერთი და მეორე!

და გვიხსენით ჩვენ მონობისა და შიმშილისაგან!

აი ქართველი ხალხის გოდება!

ხელს აწერენ დამფ. კრ. წევრები: რ. არსენიძე, დ. ემუხვარი, ვ. ჯუღელი, დ. შარაშიძე, ნ. ხომერვი, ივ. ჭავჭავაძე, ვ. წულაძე, რ. ციციანი, ი. სალაია, ნ. ელიავა, კ. გვარჯილაძე, მ. რუსთა, დ. ლორია, მ. დავარაშვილი, რ. აუშტროვი.

შიმშილობა საქართველოში და ევროპა

რუსეთის შიმშილობა მთელი ქვეყანა აახშურა. ევროპის კურნალ-განჯეები, მიმართულების განურჩევლად, ცოველდითურად ათავსებენ მოწოდებებს დამშუულ ხალხის შესახებ, ამუშავდენ საქველმოქმედო და წითელი ჯგრის საზოგადოებები ევროპა-ამერიკაში, განსაკუთრებული ენერგიით აღიშალა ხმა მუშათა ინტერნაციონალმა დამშუულთა სასარგებლოთ. ერთის სიტყვით, დამშუულ რუსეთის დახმარების საკითხმა სხვა ბევრი მწვევე საერთაშორისო კითხვები დაჩრდილა, ვინაიდან ეს თვით უდიდეს საერთაშორისო საკითხათ გადაიქცა. მას შეეძლო მიეჩინებია საქართველოს პრობლემაც. მაგრამ ეს ხომ უსაშინელები უსამართლობა იქნებოდა. რუსეთმა თავის უხეში რეჟიმის წალობით შეიძინა უმაგალითო შიმშილი და ათასგვარი სენი, საქართველოს კი შიმშილი და ავანთმოდება თავზე მოახვიეს.

მერე ვინ? იმავე სამოწალოთ გადაქცეულმა რუსეთმა. მისმა «წითელმა» ხიშტებმა არა თუ გასცალეს და გააპარახეს საქართველო, მათ გაავრცელეს ხალხში ხოლერა და ათასი სხვა

F 8333

საქართველოს
მთავრობის
გამართლება



სწეულება. და ამ ხალხის უცურადლებით და-
ტოვება განა, შესაძლებელი იყო? მართლაც ამ
საშინელმა უკუღმართობამ სათანადო შთაბეჭ-
დილება მოახდინა ევროპის საზოგადოებაში.
დატირ თავისთავით აშკარათ ღაღადებდა დროდ-
საც საქართველოს წარმომადგენლებმა მიმართეს
ევროპის საზოგადოებას, იგი ის გამოეხმებურა
ქართული ხალხის გაკვირებას და დაშეშვას,
როგორც რუსეთისას. ცნობებმა საქართველოს
მოსკოვის ჯარის მიერ აკლების და გაპარტახების,
განაფხულის გვაღვების, საერ-
თო მოუსახლოების და ყველა ამ მიზეზთაგან
გამოწვეულ ხალხის დამშევის და ეპიდემიების
გავრცელების შესახებ მოიარა თითქმის ყველა
ევროპული გაზეთები. მართა გერმანიაში კი
გაზეთში დაიბეჭდა ასეთი ცნობები. პარიზში
თფილისის ქალ. მოურავის განცხადება საქარ-
თველოს შიმშილობის შესახებ და მოწოდება
დამმარებისადმი თითქმის ყველა მიმართულების
გაზეთებში გადაბეჭდეს. ამიტომ ვასკვირველი
არ არის, რომ წითელი ჯგერის საზოგადოებები,
ერთა ლიგა, სხვა და სხვა საკვლამოქმედო სა-
ზოგადოებები დიდს თანაგრძობით შეხედენ
ჩვენი მოუარობის წარმომადგენელთა მიმართვას
დამშეულ საქართველოს დახმარებისათვის.

როგორც ჩვეულებრივ, განსაკუთრებული
თანაგრძობით მოეკიდა დამშეულ ქართველ
ხალხის დახმარების საქმეს მუშათა ინტერნა-
ციონალი. დამშეულთა დახმარების საქმის მო-
საგვარებლათ ავეისტის 13 და 14-ს ბერლინში
შეიკრიბა მუშათა პროფესიონალურ ინტერნა-
ციონალის წარმომადგენლები. კონფერენციამ
მოსიშინა სხვათა შორის კ. ჩხვიძის მოხსენება
საქართველოს დამშევის შესახებ, რომელშიაც
ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ დამშევა სა-
ქართველოსი და ათასგვარი სენის გავრცელება
ხალხში უმთავრესათ გამოწვეულია მოსკოვის
«წითლების» შემოსევით. კონფერენციამ ეს
აზრი სავსებით გაიზიარა და რუსეთის და სა-
ქართველოს დამშეულ ხალხთათვის დახმარების
საკითხი თანაბრათ დააყენა: «დაეხმარეთ რუ-
სეთს და საქართველოს!»—აი პროფესიონალურ

ინტერნაციონალის მიმართვა სხვა და სხვა ქვე-
ცნებისადმი. კონფერენციამ უკვე გადადგა
მილიონი მარკა ამ ქვეცნების დასახმარებლად
და მოუწოდა ცალკე ქვეცნების ენერგიული მო-
ქმედებისაკენ. კონფერენციამ დაინიშნა წარმო-
მადგენლები, რომლებმაც უნდა დაუკავშირონ
პროფესიონალურ ინტერნაციონალის მოქმედ-
ება წითელი ჯგერის მოღვაწეობას დახმარების
საქმეში. ამ წარმომადგენლების ინიციატივით
წითელი ჯგერის კონგრესმა ქენევაში დაადგინა
საქართველოსა და ამიერ-კავკასიის სხვა რეს-
პუბლიკებს რუსეთისაგან დამოუკიდებლათ გა-
წიოს დახმარება, ამათთვის ცალკე მოეწიოს
დახმარების საქმე. გერმანიაში უკვე გადაიღდა
ამ მხრით პრაქტიკული ნაბიჯი. იქ ამ ქმით
უკვე დამშეულობისათვის მუდკამენატების ტრანს-
პორტი საქართველოსათვის, რომელიც სტამ-
ბოლ-ბათუმის გზით მოკლე დროში გაიგზავნება
თფილისში ბ-ნ ულრიხ რაუშერის განკარგულე-
ბაში ქართველი მოსახლეობისათვის გასახაწი-
ლებლად. ექვი არაა გერმანიის მაგალითს სხვე-
ბიკ მიზანძევე.

ამნირადა, დამშეულ ქართველი ხალხის და-
ხმარება გამოიყო ცალკე საკითხად, ცალკე სა-
ქმეთ. დახმარება უნდა მოეწიოს როგორც საერ-
თოდ რუსეთის, აგრეთვე ადგილობრივ ბოლშევი-
კურ ძალა-უფლებიდან დამოუკიდებლათ. და-
ხმარება უნდა გაიწიოს უცხო ქვეცნების წარ-
მომადგენლებმა და უცხო ქვეცნების წითელმა
ჯგერმა ადგილობრივ საზოგადოებრივ ელემენ-
ტების საშუალებით ისე, რომ საწილო და მე-
ლდკამენატები მოხმარდეს საქართველოს დამშე-
ულ ხალხს და არა მის ჯალათებს—რეგვიმებს,
«ჩეკებს», წითელ არმიელებს.


ყველა გრძობის და ხელდას, რომ საქართვე-
ლო რუსეთის ძალმობრებობამ ჩააგდო ამ გასა-
კირში და ამიტომ ამ დახმარების საქმის მო-
წყობას თან სდევს ევროპის საზოგადოებრივი
აზრის საერთო კოიჩა: «საქართველო რუსეთის
თავდასხმამ, ბოლშევიკურმა ძარცვა-გლეჯამ
დაამშია. გაიყვანეთ რუსის ჯარი საქართველო-
დან, განათავისუფლეთ საქართველო, რომ მან
თავის თავს მოუაროს!»

საქართველოს აკაბები.

რკინის გზაზე. თფილის—ბათონში დადის
ერთი წყვილი მატარებელი დღე და ღამეში.
მგზავრებისათვის დათმობილია ორი ვაგონი.
დანართენი ნაწილდება ასე: ერთი ვაგონი «ოხ-
რანკას», ერთი რკინის-გზის «ჩეკას», ერთი
სამეღერო, ერთი განსაკუთრებული დანიშნუ-
ლების, ერთი ფოსტას, ერთი მოსამსახურეები-

სათვის, აგრეთვე ემატება განსაკუთრებული
ვაგონები, თუ ვინაე მინის სპეციალურათ სა-
ლონი.

ამის გამო საშინელი სურათია რკინის-გზე-
ბზე. თფილისში მგზავრები ეკირებები რჩებიან,
ბილეთებზე არის საარაკო სპეკულიაცია, მატარ-
ებელს აუარებელი ხალხი ახვევია. უბედურ





შემთხვევებმა მასიური ხასიათი მიიღო, სადგურებში მატარებლის მოსვლა-წასვლის დროს ისმის კივილი, ცემა, აურხაური; თუ თფილისიდან გადის ერთი და ბათომიდან შემოდის ერთი—სამავიეროთ თფილისიდან ბაქოში გადის ორ დღეში ერთხელ, მხოლოდ თფილისიდან პეტროვსკიში—კვირაში ერთხელ.

კახეთში, ბორჯომში და პატარა შტაბებზე ორჯერ გადის მატარებელი, მაგრამ ცველა ვაგონები საბარგო მატარებლისაა.

მატარებლების მოძრაობა უმთავრესად ხდება ნახშირით, ვინაიდან მახუჯის კრიზისია.

ტრანსპორტის დაშლას თან მოჰყვა რკინისგზების მოშლა. ამიერ კავკასიის მართველის—მირთნოვის მოხსენებით რკინის-გზების ლიანდროს საშინელ მდგომარეობაშია, განსაკუთრებით ბაქოსა და სომხეთის, და თუ სასწრაფო ზომები არ იქმნა მიღებული,—მუშაობა შეწყდება.

საქართველოს რკინის-გზები უკიდურეს პირობებშია, განსაკუთრებით საშიშ პირობებშია ამ უკანასკნელ ხანებში გვირგვინის მატარებლების გავლა, ვინაიდან მუხრანული ვაგონები აღარ მოიპოვება და დაღმარებულ მატარებლებს ვეღარ აჩერებენ.

არსენალი. არსენალში მუშაობა ფაქტიურად აღარ სწარმოებს. საუკეთესო მანქანები მოხსენს. ტყვიის ჩამომსხმელი განყოფილება ვაუწყმეს. მუშები დადიან ქარხანაში მხოლოდ შავი სამუშაოსთვის.

სათბობი მახალის კრიზისი. სათბობი მახალის ნაკლებობის გამო, ზოგიერთი სტამბები აღარ მუშაობს და ელექტრონის სადგურებიც გაჩერებულია. 27 ივლისიდან თფილისის დიდძალი ქუჩები გაუნათებელია.

ბიულეტენის გამოცემა. რედაქციამ მიიღო საქართველოში გამოცემული ბიულეტენი №1, რომელიც რემინგტონზე არის დაბეჭდილი, და ხელზე ვრცელდება. ბიულეტენი ოთხი თაბახისაგან შეესდგება და შეიცავს მრავალ ისეთ ცნობებს საქართველოს ყველა კუთხიდან, რომელსაც ბოლშევიკური პრესა მალავს.

რეპრესიები: ძველი სამსახურისათვის გარდა მარკოზაშვილისა და ფაველნიშვილისა დახვრიტეს; მაიორი ლეკვიანძე, კომის. თანაშ. ქუთ. ტრაპაიძე, ერთი წლის ვადით დაატუსაღეს ციხის უფროსთან ნამყოფი: მეგრულიშვილი, ბუთ-

აშური და მათი თანამშრომელი, ბოლშევიკური გელოვანი და ადირები დეალიშვილი და ლომსაძე სხედან და უკლიან განაჩენს.. ასე სურის კომუნისტების ანონსტია.

ბოლშევიკების წარმომადგენელი სტამბოლში. სტამბოლიდან ვაწერენ: ერთი ხანია აქ ჩამოვიდა საბჭოთა საქართველოს რემუნებული პ. შოდებაძე, ცხოვრობს საუკეთესო სასტუმროში, ხარკავს აუარებელ ფულებს. მისი ჯამაგირი როგორც ვაგიგოტ, უდრის 1,000 ლირას, ესე იგი ქართულ ფულით 100 მილიონამდე მეტს თვეში. ამას გარდა სხვა და სხვა ხარჯებიც ბლომად აქვს. მარტო საკუთარი ვეტომობილი უფლებდა თვეში 400—500 ლირა. ვისი ფულები იფლანგება ასე დღუზოვავით?

იქიდანვე კონსტანტინე. ლტოლვილთა რიცხვი შემცირდა. ბევრმა სამუშაო გაიჩინა, ბევრი უკანვე დაბრუნდა. ვისაც დაბრუნება არ შეუძლია და არც საქმე გამოუჩნდა დღემდე იღებდნენ 8—10 და 4 ლირას მთავრობიდან თვიურად და ამას გარდა ამერიკელებისაგან ეწეოდნენ პური. ამერიკელების დახმარება უკვე მოქმედობს ამ უკანასკნელ ხანებში: მთავრობა იძულებული იყო მათ გამოკვებაზე ეხრუნა და, გადაუდევს მათთვის 25—20—17 ლირა თვითფილისითის თვიურად. იმ პირობით, რომ იფათ თვისარენ ქილანას შეეხიზონ, რადგან სტამბოლში ეს თანხა ბინის ფასათაც არ კმარა..

ბოლშევიკების „მოღვაწენი“.

საშინელი ხალხის ხელშია ჩაეარდნილი დღეს საქართველო. აი ორიოდ მავალითი ამის დასამტკიცებლათ:

ს. ახმეტაში (თიან. მაშ.) ხალხმა დაატყვევა ადგილობრივი რევკომის წევრები და თიანეთის სამხარო რევკომს გაუგზავნა, როგორც სისხლის დამნაშაენი, რომელთა მოთმენა ხალხმა ველარ შესძლო. მაგრამ უკეთესი არც თვით თიანეთის რევკომი აღმოჩნდა, მისი თავმჯდომარე ვინმე არაბული საქ. რევკ. შეიპყრო სხვა და სხვა დანაშაულობისთვის. მეორე არაბული, ცოდილი ყაზალი, ჯერ პოლტ. ბიუროს თავმჯდომარეობდა; შემდეგ მილიციის უფროსათ დანიშნეს იქვე. მაგრამ მისი «კაიკაკობისთვის» იძულებული გახდნენ დაეტუსადებინათ და დაეხვრიტათ. ეს პირები ამ რიგით დაისაჯენ, მაგრამ რამდენი დარჩა დაუსჯელი ვინ მოსთე-
ლის?



ჩვენ ზოგიერთს დავასახელებთ მხოლოდ, რომელიც შემოხვევით მოგვგაგონდება: თიანეთში არაბულის მაგიერ დანიშნეს ვგაროვი, რომელიც აქტიური მონაწილე იყო ხითაროვის გატაცებაში.

თელავის მაზრაში მილიციის უფროსათ არის არჩილ მურღიაშვილი, რომელიც რამდენიმეჯერ იყო დასჯილი ცხენის და სხვა ქურდობისთვის. საკრთოთ ცოდელი აჩაღლების და კაცის მკვლელების დანიშვნა ადმინისტრ. პოსტზე ჩვეულებრივია.

ს. აბასთუმანში (ზუგდ. მაზ.), რომელიც წინეთ ბოლშევიკების ბუდეთ ითვლებოდა, ერთ დღეს მოდის ბრძანება ქურდ-ბაცაცების სია მოგვეკითო. სოფელი იკრიბება და ერთხმით ფარულ კენჭის ყრით, როგორც ცნობილ ქურდებს, ასახელებს აღმ. რეკომის ჯგუფს წევრებს. «დნარჩენებს თვით ეგ ვაქებატონები დაგისახელებენო», დასძინა სოფელმა.

აჩაღები, გვწერს ერთი კორესპონდენტი, რომელიც მოწოდებულნი არიან აღმშენებლობითი დიადი საქმეებისთვის, ორ რიგათ, ორ კატეგორიით განიყოფებიან: შინაურნი და გარეუღნი. პირველის ლოცვა-კურთხევით მეორენი დარბიან და ასეთი შრომით მოპოვებულ ქონებას პირველ რიგს ძმურათ უკოფენ შუაზე. თუ ეს კიდევ საინტერესოა, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: 1) ცნობილი ავაზაკი ლეწან ქაფთარაძე (დუშ. მაზრ.) არბედა უმოწილოთ ხალხს. მილიციის უფროსათ დანიშნეს. ავაზაკობა კიდევ უფრო გააძლიერა და აი მოთმინებანი გამოუსულმა მეწიქვილებს, რომელსაც პურს ართმევდა, ცუდით მოკლა. 2) ს. რიკაძის და ლ. ჩირდრელის მკვლელი გურგენაშვილი დღეს გრემისხევის (დუშ. მაზრ.) რეკომის თავმჯდომარეა და იკლებს მთელ ხეობას. 3) ს. წერეთლის მებოგრები, ირემაშვილი და მესჭირიშვილი, რომელთაც გატარცეს სოფ. სოფრისში წემცის ქალი ნიბაუმი, კომუნისტებმა ციხიდან გაანთავისუფლეს, კომპარტიაში ჩარიტეს და მილიციონერებათ დანიშნეს. 4) მილიციაში მსაბურებენ და კომპარტიაში ირიტებიან აგრეთვე ავაზაკი გულასაშვილი და ქოსაშვილი, რომელთაც სხვათა შორის გატარცეს სოფ. ახალგორში სტ. ბაჟვიძე და შემდეგ მოკლეს კიდევ. 5) ავაზაკი დარჩი ჩოდოშვილი, რომელსაც ბრალდება არა ერთი თავდასხმა და მკვლელობა,

სხვათა შორის სოფ. ახალგორში მსკესტეროვისა, დღეს ანაურის რეკ. თავმჯდომარეა და კომპარტ. წევრი. 6) აღ. კობაშვილი და აღ. თათარაშვილი ძველი აჩაღნი, რომლებსაც თფილისში ინგლისელების მკვლელობა ედება, მსახურებენ პირველი ჩეკაში, მეორე რკ. გზ. მილიციაში. 7) გაბო დიაკენიშვილი, ავაზაკი უფროს მილიციონერათ არის დუშეთში. 8) სანდრა ლუღუშაური ავაზაკი ს. კომპარტოდან, აგრეთვე მილიციაშია. აი შემთხვევით აღებულნი ცნობები ერთ პატარა მაზრიდან. სხვებში ზომ უარესათაა საქმე. გურიიდან გვატკობნიტენ, რომ იქ რეკომები თითო საჩვენებლათ არის გამხდარი. ხალხი ამბობს, რაც ქურდები იყო, ჯგუფა შიგ არი და გარეთ რომ აღარავინ დარჩა, ქურდობაც შემცირდაო. სადაც მგტი რეკომილია, იქ მგტი ავი კაცებია შიგ მოგროვილი. აი ასეთ ხალხს ხელშია დღეს საქართველოს ბედი!

ეკროპის მუქმათა შორის.

ლითონზე მომუშავეთა საერთაშორისო კონგრესი ზურგს უბრუნებს მოსკოვს.

8 აგვისტოს ლიუტერნი (შვეიცარია) გაიხსნა ლითონზე მომუშავეთა პროფესიული კავშირების საერთაშორისო კონგრესი. წარმოდგენილი იყო 14 ქვეყანა (ბელგია, დანია, გერმანია, ინგლისი, სადრანკეთი, პოლანდია, იტალია, ავსტრია, ლიუქსენბურგი, ნორვეგია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, შვეიცარია). მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციაში შედის ლითონზე მომუშავეთა 43 კავშირი, რომელთა წევრების რიცხვი უდრის 4.600,000.

თავმჯდომარემა, შვეიცარიის კავშირის წევრმა, კონრად ილგამ განაცხადა, რომ კონგრესზე მოწვევის ბარათი არ გაუგზავნიათ რუსეთის კავშირისათვის, რადგანაც უკანასკნელი არ შედის ლითონზე მომუშავეთა საერთაშორისო კავშირში, ამას გარდა საერთაშორისო კომიტეტს გადაწვევით ქონდა არ მოეწვია ის კავშირები, რომლებიც მესამე ინტერნაციონალს ეკუთვნიან.

კონგრესმა მოისმინა რუსეთის ლითონზე მომუშავეთა კავშირის წერილი, რომელიც შეუ-



რაცყოფელი ტონით არის შედგენილი, და უკამათოდ გადავიდა დღიურ წესრიგზე.

კომიტეტის მოხსენება ერთმანეთს იქნა მიღებული.

გერმანიის ლითონის მუშაობა კავშირი.

ამ კავშირში შედის მილიონ ნახევარი მუშა. კომუნისტები დიდ იმედს ამყარებდნენ კავშირის ხელში ჩაგდებაზე. უნდა ითქვას, რომ ერთი წლის წინათ ლითონზე მომუშავეთა კავშირი ითვლებოდა ბოლშევიკების თანამგრძობათ. ამას წინათ მოხდა არჩევნები კავშირის წლიურ ყრილობისათვის. გერმანიის კომუნისტებმა, რომელთაც განსაკუთრებული ინსტრუქციები და თანხები ქონდათ მიღებული მოსკოვიდან, ყოველივე ზომას მიმართეს გამარჯვების მისაღწევით. მიუხედავად ამისა სასტიკად დამარცხდნენ. არჩეულ იქნა 403 დელეგატი ამსტერდამის მომხრე და მხოლოდ 73 მოსკოვის მომხრე.

შოტლანდიის პროფეს. კავშირები.

გასულ აპრილში შოტლანდიის პროფესიულ კავშირთა კონგრესმა მცირე ხნის უმეტესობით დაადგინა მიმხრობა პაროდესიულ კავშირთა «წითელ», (მოსკოვის) ინტერნაციონალს. კონგრესის შემდეგ მოხდა რეფერენდუმი ცალკე კავშირებში. წევრთა დიდის უმრავლესობით აპრილის კონგრესის დადგენილება გაააიიღებულ იქნა; შოტლანდიის კავშირებმა უარყვეს მოსკოვის ინტერნაციონალის მიმხრობა.

ირლანდიის საკითხი.

ირლანდიის საკითხმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. მთელი საუკუნის განმავლობაში დგას ეს კითხვა ინგლისის საზოგადოების წინაშე და დღემდე მის გადაჭრას უნაკლოდ შეალოეს თავის ნიჭი და ხშირათ კარგიერაც ინგლისის საუკეთესო მოღვაწეებმა.

საქმე იმაშია, რომ ბრიტანიისთვის, ირლანდია წარმოადგენს ერთგვარ კოლონიას რომელიც დანიშნულიება ბრიტანიის წარმომავლებისთვის კარგი ბაზრის როლი ითამაშოს, ხოლო თვით კი მოწათმოქმედების ქვეყანათ დარჩეს. მიწათმოქმედებაშიც ირლანდიელები ერთიანათ ლორდების ხელში იყვენ ჩაეარდნილი, რადგან მთელი მიწა ამ უკანსკნელთა საკუთრებას შეაუღენდა. ბრძოლა ამ ეკონომიური მონაობისა-

გან თავის დასაღწევათ გადაიქცა ეროვნულ ბრძოლათ ირლანდიის თავისუღლებისათვის. მართალია ირლანდია ენით არ განსხვავდებან ინგლისისაგან, მაგრამ მინც ცალკე ერთ არის შეკავშირებული თავის ეკონომიური ცხოვრების პირობებით და ისტორიული ბედით.

ამ ბოლო დრომდე ირლანდიის საკითხის მთავარი პოლიტიკური შინაარსი იყო ჰომრულის მოპოვება ე. ი. ავტონომიური მართვაგამგეობის მიღება თავის საკუთარ პარლამენტით დუბლინში, ირლანდიის უმთავრეს ქალაქში.

ეს იდეა კიდევ უნდა განხორციელებული იყოს ირლანდიის ირლანდიის წინ და ამის წლებში, სათანადო კანონპროექტიც იქნა მიღებული ინგლისის თემთა პალატისაგან, მაგრამ ომიანობამ და ზოგიერთმა შინაურმა პირობებმაც შეუშალეს ხელი მის განხორციელებას. პირველ ყოვლისა ირლანდიის სელმძღვანელი პოლიტიკური წრეები სინდენინერები ვეღანინ არ იყვენ კმაყოფილი ამ კანონით. მეორე მხრით, როგორც ამბობენ, თვით ინგლისის მართველობის ინსპირაციით, მას წინააღუდგა ირლანდიის ჩრდილოეთი ნაწილი, ულსტერი, რომელიც ეკონომიურთა უფრო განვითარებულია და რომელსაც დუბლინის პარლამენტის ხელში ჯოფნა არ სურს. ამ უკანასკნელმა მოითხოვა თავისთვისაც ცალკე პარლამენტი. ამან ირლანდია რასაკვირველია შეაუსუსტა, რადგან მის მოძრაობას შინაური ფრენტი გაუხსნა. სანდენინერებმა ამის შემდეგაც იარაღი არ დაყარეს. პირიქით მათი რევილიუციური მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდა და აქლა ჰომრულიც ე. ი. ავტონომია მათთვის დამკნაცლოფილებელი აღარ შეიქნა, მათი დღევანდელი მოძრაობის მთავარი ლოზუნგია: დამოუკიდებელი ირლანდია, რომელიც უნდა შეიღოდეს ულსტერიც, ე. ი. სრლიყო ირლანდიის ნაწილი.

ომის დროს ამ ნიადაგზე აჯანყებაც მოაწყვის, რადგან სასტიკი რეპრესიები და მრავალი მსხვერპლი გამოიწვია.

მხოლოდო ზავის ჩამოგდების შემდეგ ირლანდია ამ თავის თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოაცხადა, რევილიუციური გზით საკუთარი პარლამენტი აირჩია, მთავრობა შექნა და მრავალ ქვეყნებში თავის წარმომადგენლებიც გაგზავნა.

ინგლისის მთავრობამ ამ რევილიუციურ ნაბიჯებს საშინელი რეპრესიებით უპასუხა. დუბლინში გაიგზავნა ჯარი ამბოხების ჩასაქრობათ. სინდენინერებმაც უკან არ დაიხიეს და გა-



ჩაღდა სასტიკი სამოქალაქო ომი; აუარებელ მსხვერპლით ორივე მხრივ.

მარა იაბალი უძლეური გამოდგა ამ რთული კითხვის გადაჭრაში. ირლანდიის მთავრობის განცხადებას მხარს უჭერდა და თანავერებობა ინგლისის საზოგადოების ზოგი წევრები, განსაკუთრებით კი მუშათა კლასი, რომელთაც იცნეს ირლანდიის უფლებმა თვითგამორკვევისა.

ასეთ პირობებში მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და აი ლოიდ ჯორჯმა გამართა მოლაპარაკება ირლანდიის რევოლუციური მთავრობის თვემჯდომარე დე-ვეერსთან.

სამოქალაქო ომი შეჩერდა. სისხლის ღვრა შეწყდა და ამუშავდა დიპლომატია. მთელი თვე გასტანა ამ მოლაპარაკებებში. დე-ვეალერმა ამ ხანებში ჩამოვიდა ლონდონში, ინაუღლა რამდენჯერმე ლოიდ ჯორჯი, მოისინა მთავრობის წინადადებები, შეეკითხა მათ შესახებ თავის კაბინეტს, ირლანდიის პარლამენტს, რომლის დატუსაღებული წევრები მოლაპარაკების გამო განათვისულოეს და ბოლოს მიიღო ვერ შეთანხმდნ. მიწერ-მოწერის შინაარსი ამ ბოლო დრომდე სიდუმლოთა ინაუგნდა. მაგრამ როცა მორიგება არ მოხდა, ლოიდ ჯორჯმა იგი გამოაკვეცა. მოგვეცეს ამ მოლაპარაკების შინაარსი მოკლეთ:

პირველი წერილი, გავხანიალი ლოიდ ჯორჯისაგან დე-ვეალერასადმი 20 ივლისს ამა წლისა შეიცავს შემდეგ წინადადებს:

ირლანდია ენიჭება ისეთივე უფლებები, როგორც სხვა დომინიონებს (კოლონიებს); ამის მიხედვით ირლანდია ისარგებლებს: ა) ფინანსური ავტონომიით, ბ) საკუთარი სასამართლოებით, გ) საკუთარი სამხედრო ძალებით, რამდენადაც ეს საჭიროა ქვეყნის დასაცავათ, დ) საკ. პოლიციით და ჯანდარმერით, ე) აბსოლიუტური კონტროლით ფოსტის, საზოგადო განათლების, ჰიგიენის, და მალდვის, ვაკუაობის, მაგარ სასულებლის, და შინის საკუთრების და ე) ამას გარდა ყველა უფლებებით და უპირატესობით, რომელიც აქვს დომინიონებს გარდა ზოგიერთი გამოწვევისა.

სამაგიეროთ ლოიდ ჯორჯი მოითხოვს ინგლისისათვის შემდეგს:

- 1) ბრიტ. ფლოტს უნდა ექნეს თავისუფლება ირლანდიის ყველა პორტებსა და წლებში დგომისა და მიმოსვლისა.
- 2) ირლანდიის სამხედრო ძალები თავის რიკით უნდა პროპორციონალური იყოს იმპერიის სხვა ნაწილების. სამხედრო ძალებთან,
- 3) დიდ ბრიტ. ექლავა კოვლეგარო ხელის შემწყობი პირობები საჭირო მოჭრობის და თავდაცვის მოწყობაში, 4) დიდ ბრიტ. იმედი აქვს,

რომ ირლანდია თავის სურვილით განაწილებს საიმპერიო ჯარის, ფლოტის და ძაწროლანების შენახვის ხარჯებს, 5) ინგლისის და ირლანდიის მთავრობები პირობით ეკვივან ურთიერთს, რომ არავითარ საფუკრო შესდღდვას მათ შორის ადგილი არ ექნება, 6) ირლანდია მონაწილეა საიმპერიო ვალების გადახდაში.

ამ წინადაგვე უნდა მოხდეს შეთანხმება, და ტექსტი შეთანხმების წარედგინოს ორივე პარლამენტებს. ამასთანავე ამ ხელშეკრულებაში უნდა აღიარებულ იქნეს უფლებები ჩრდილოეთ ირლანდიის პარლამენტის, რომლის შეზღუდვა თვით ამ პარლამენტის დაუთანხმებლათ შეუძლებელია.

დე-ვეალერამ ამის პასუხათ 10 აგვისტოს მოსწერა წერილი, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ ლოიდ ჯორჯის წინადადებები შეცავენ მრავალ წინააღმდეგობებს, რომ ამ გზით ინგლისის მთავრობას სურს შეიკრეს ირლანდიის შინაურ საქმეებში, რაც მათთვის სრულიად მიუღებელია.

ირლანდიას უნდა მიეცეს უფლება თვით აირჩიოს ცნობების გზა თავის სურვილისამებრ და გაქედოს თავის ბედი საკუთარი ძალებით. ნამდვილი მეგობრობა და კეთილი განწყობილება ირლანდიასა და ინგლისს შორის დამყარდება მხოლოდ მაშინ, როცა ირლანდია იქნება სრულიად გამოყოფილი ინგლისის იმპერიისაგან.

«დომინიონების» სტატუტები, ამბობს დე-ვეალერა, დაზკმაყოფილებელი არაა. ისინი არ აძლევენ მათ უფლებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოაცხადოს თავი. და პრემიერ მინისტრის წერილის შინაარსში ჩვენ ვერ ვხვდართ ამ უფლების მონიჭებას ჩვენთვის.

«რაც შეეხება საკითხს ირლანდიის უმცირესობის და უმრავლესობის შესახებ, ის უნდა გადაწყვიტოს თვით ირლანდიის ხალხმა. ჩვენ გმისთანხმებ ვართ, რომ ეს საკითხი გადაჭრას ნეიტრალურმა სამედიატორმა სასამართლომ.»

ამ რიგათ დე-ვეალერა აღარ ემჯდომილდება ავტონომიით და აწევება დამოუკიდებლობას.

ამის გამო ლოიდ ჯორჯმა პასუხათ აცნობა დე-ვეალერას, რომ დომინიონების სტატუტების ნამდვილი აზრის შესახებ თოროიულ დავის გამართვა სრულიად არ არის საჭირო, რომ ბრიტანეის მთავრობას არ შეუძლია ინგლისიდან სრულიად ჩამოშორების უფლება მისცეს ირლანდიას და რომ ირლანდიის ჩრდილოეთის და სამხრეთის ნაწილებ შორის არსებული დეა არ შეიქცევა უტოვლთა სამედიატორო სასაწართლოს გადაცეცს. ეს შინაური საკითხია დიდი ინგლისისა.

ლოიდ ჯორჯი აცხადებს, რომ მეტის დათმობა მას არ შეუძლია.

თქმთა პალატაში ამის გამოლოიდ ჯორჯმა და კერზონმა ის აწრი გამოსთქვეს, რომ მათ მაქსიმუმში შესაძლებელ დათმობისა ვაიღეს და თუ ირლანდიის ხელმძღვანელები ამით არ დამკაყოფილებიან, მთელი პასუხისმგებლობა მოსალოდნელი სისხლის ღვრისა მათ დაედებათ კისერზეო.

საზოგადოებრივ წრეებში ამ მიწერ-მოწერის გამოქვეყნებამ ირლანდიისთვის არა სასურველი შაბეჭდილება მოახდინა: ულსტერის (ჩრდილო ირლანდის) მეთაური ჯემს კრეგ ატომინგზს მთავრობას, რომ მათ სურთ ინგლისის მოქალაქეებთან დარჩენ; თვით ინგლისის საზოგადოებაში, და მუშებშიც კი, რომელიც ირლანდიის თანაუგრძობადენ, ის აწრი დატრიალდა, რომ ირლანდია ამ დათმობით უნდა დაკმაყოფილებულიყო ამ ქაშით მიანცო. თვით ბოლშევიკური ორგანო „დეილი კერალდიკი“ კი რჩე ას აძლევს ირლანდიელთ ლოიდ ჯორჯისაგან მიწოდებულ პლატფორმის მიხედვით გაპართონ მოლაპარაკება.

ამ რიგათ საზოგადოებრივი ატმოსფერა საგრძობლათ შეიცვალა. ლოიდ ჯორჯს, როგორც გაზეთები გადმოგვიცემენ, იმედი აქვს, სინფინერების ზომიერი ნაწილის, რომელთაც მისი წინადადება აკმაყოფილებს; მაგრამ ოველ შემთხვევისათვის პარლამენტის დათმვნა განზრახულია 18 ოქტომბრამდე გადაიდოს. ხოლო დაქუტატები ვაკაციებზე გაუშვან იმ პირობით, რომ საქართვების დროს სკიპერს შეეძლოს მათა მოწვევა.

თუ შეთანხმება არ მოხდა ახალი არჩევნების ღერძით ირლანდიის საკითხი გადაიქცევა.

საგერკანთ-კავალისხაზის ომი

მცირე აზიაში კვლავ სერიოზული ამბები დატრიალდა. მცირე ხნის შესვენების შემდეგ საბერძნეთის ჯარი კვლავ წინ მიიწეოს და ახლა უკვე თვით ქემალისტების ახალ სატახტო ქალაქს, ანკარას ემუქრება. უკანასკნელათ მიღებულ ცნობებით, რამდენიმე დღის დაულაღავი და გაშწავებულა ბრძოლის შემდეგ, რომლის განმავლობაში არა ერთი უკმი იერიშის მითნა მოუხდათ ბერძნებს, მათ მიანიც შესძღის ქემალისტების ფრონტის გათრლევა რამდენიმე კუნტქში და ამით ჩვენ გვგონია, ერთხელ კიდევ აიძულებენ ქემალის სარდლობას ახალი პოზიციების მომენას შეუდგეს. ამ ქაშით ბრძოლა უკვე მდ. საქარას შესართებზე წარმოებდა და ამ მდინარეზე გადასვლით ბერძნებს ეხსენებთ გზა ანკარისაკენ, რომლის დაცვა გაძნელებული ხდება ქემალისტებისთვის.

ამვე დროს საბერძნეთის ჯარები, გაზეთე-

ბის ოფიციალურ ცნობების მიხედვით უანდნენ „შავი ზღვის ნაპირებზე და ფლორის შემწვობით ნაპირზე გადავიდენ. ამ დენსატ, სამხედრო პირების აწრით, სერიოზული მნიშვნელობა აქვს, რადგან შეუძლია ქემალისტებს უკან დასახვევი გზები მოუქრას და მათი ჯარები უდაბურ ტყეებში ან უდაბნო ადგილებში გაეანტოს.

ამ დენსატის გადასხმით, რასაკვირველია, დარდვეუღია სრუტეების და კონსტანტინოპლის ნეიტრალიტეტი, რომელიც დიდის ამბით იყო გამოცხადებული ამ რამდენიმე თვის წინეთ.

ბოსფორის გარეულათ საბერძნეთის დლოტი და ჯარი ანატოლიის შავი ზღვის ნაპირებს ვერ მიაღებოდა. და თუ ეს მოხდა, ცხადია არა ვერაჰის გაუგებრათ. თვით ბერძნების გამარჯვებაც დღემდე უფრო უნდა მიეწეროს მათი ტახნიკის სიმდიერეს—რომელიც იმავე ევროპიდან აქვთ შეძენილი. ქემალისტები კი ამის წინააღმდეგ აცნებენ მხოლოდ მუსლიმანთა ფანატიზმს და რუსეთიდან მიღებულ იარაღს.

ცხადია ერთი და მეორეც საქმარისიარ არის. თვით რუსის ჯარის მოშვლება კი, ქემალისტებს შეუძლებლათ მიანჩიათ, რადგან ამ ჯარის თვისება იცნა, სადაც ის ჩადგება, იქ საბჭოთა რუსეთის ბატონობა დამყარდება და ქემალს მოსაკვი აუსრულებს იმ ქაღილს, რომელიც კომინტერნის ცრილობაზე იყო თქმული მის მიმართ; ამ რიგათ ოსმალეთის გარშემო დიდი ამბები ტრიალდება. ისმება საკითხი მისი არსებობა—არ არსებობის შესახებ. არაფერი მოულოდნელი არ არის იმაში, რომ ამ ომის შედეგათ, თუ ბერძენთა მღლაქის სიძლიერემ მოლომდის გასტანა, ოსმალეთი, როგორც ასეთი, გაქრეს ხმელთაშუაზღვის ნაპირებიდან და პატარა თურქული სახანო—და დარჩეს ციკრი აზიის მთებში—ოტომანის ბრწინეველ პორტის ნაცვლათ.

ოველ შემთხვევაში ევროპიელები საზოგადოთ და ინგლისი კერძოთ არ დიქტობს ეს მშვენიერი და მტრათ გამოსადეგი კომერციული და სტრატეგიული ბოლაწი ხელიდან გაუშვას.

ბერძნებსაც გამარჯვება იმდენ უღვიძებს სტამბოლის დაბრუნების შესახებ. ამ რიგათ აპირებენ წ საუკუნის ოსმალთა ბატონობის ლიკვიდაციას. მართა აქ იმდენი ინტერესები დაბანდული, იმდენი სახელმწიფოები და წრეები ერთმანეთზე გადალაართული ათასგვარი ძალებით, რომ ამის ვახსნა არც ისე ადვილია... ვიცხოვროთ და ენახეთ.

რუსეთის მიმოსილვა



აგიტაცია ევროპის წინააღმდეგ.

უცხოელების შესახებ ამ ქაშათ კომუნისტური აგიტატორები ასე ჭადაგებენ: ევროპის ბურჟუაზიას არ უნდა ჰყენ დაგვეგზავნოს, ამიტომ შინაურ ბურჟუაზიას მივჩნით, მარა მალე მასაც მოვიშორებთ თავიდანა. უცხოეთის ბურჟუაზიას კი, რომელსაც სურს ჰყენ საქმეებში ჩარევა, ინტერვენციის მოწოდება შიმშილობის ნიადაგზე ჰყენს დასამხოებათ, ამის ნებას არ მივცემთ. არა ნაკლებ ბურჟუაზიისა ლანძღავენ და ათრევენ მეორე და ჯენის ინტერნაციონალს, ამსტერდამის პროფ. ინტერნაციონალს და საერთოთ ყველა არა კომუნისტ მუშებს, რომელთაც ფართოთ მოაწყვეს ევროპაში დამშეულთა დახმარების საქმე.

ბოლშევიკები თავის ჭადაგებით აქვლანდე ცდილობენ მთელი დახმარება, რომელიც კი მიალწევს რუსეთამდე, ევროპის კომუნისტების სიძლიერეს და გავლენას მიაწერონ. თუ ბურჟუაზია რამეს შეეწია,—ეს კომუნისტების გავლენითა და სხვ.

თვითონ ეხმარებიან.

თუ ასე უშლიან ხელს გარეშე დახმარებას, სამაგიეროთ თვითონ ისე აწეობენ საქმეს, რომ დამშეულებს ბედს ძალით არ დაეყუს. ამ მ.გ. ყუბანის «ისპოლკომი» აღდგენს დაგზავნონ დამშეულ სოფლებში აგიტატორები, რომ მხნეობა ჩაუწერგოს დამშეულებს და ჩააგონოს, რომ ნამდვილი მიწეწი მათი დამშევისა—ბურჟუაზიის და თეთრ გვარეულების ოინებიაო.

აპით უნდათ ხალხის გამოკვება.

ანდა ადეთის გუბისპოლკომის იხვესტია სურს: ადესის რაიონი დამშეულია, ჰურის მაგიერ სუროვატებით იკვებებიან; ხის ქერქით, მუხის რკოებით და სხვ. ესეც ილევა, მანასა-დამე დახმარება უნდა აღმოეჩინოს. ამ-ვე დროს აღდგენ კომიტეტებს, რომლებმაც პროდენლოგი უნდა შეაგროვოს და ვოლგის ნაპირებზე დამშეულთ მოეხმარს. დამშეულმა ადესმა დახმარების მიღების ნაცვლათ, სხვას უნდა გაუწიოს დახმარება...

და ასეთი ხალხი უშველის დამშეულებს? ცხადია მათ ინტერესებს შეკრება სახ. ნატურალურ გადსახადის, რომლითაც გამოკვებენ წითელ ხიშტებს, და კომუნისტ კომისრებს. ე. ი. რუსის ხალხის გალათებს და ამ გალათების იარაღს.

სა.ს. კომიტეტის გარეკა.

მოსკოვის დიქტატორებმა ვერ მოითინეს თვით უმორჩილესი საზოგადოებრივი კომიტეტიც კი, რომელიც კომუნისტის თავმჯდომარეობით მუშაობდა და რომლის წევრთა სია თვით სოციალიზმისაგან იქნა წინასწარ მოწონებული, და ეს კომიტეტი დაშალეს.

ჩვენთვის ამაში უჩვეულო არადგენია: თვით-მპრობებლობასაც სწორეთ ასეთი პრაქტიკა ქონდა. საზოგადოების თვითმომკმედების აზრდღი-საც კი ეწინაღა და რეპრესიებით ცდილობდა ჩაეკლა მისი ჯოგელი ჩანასახი. საზოგადოებრივმა კომიტეტმა კი ერთგვარათ სახელი მოიპოვა. პირველი ის, რომ საზღვარ-გარეთელი ემიგრაცია ამ კომიტეტს დაუკავშირდა. მეორეც ის, რომ ადგილობრივ მისი განცოფილებების გაჩენისთანავე მთელი დამშეული რაიონები ამ განცოფილებების გარშეშეშე მომგროვდა, ხოლო კომუნისტ აგენტებს ისე მტრულათ დაუწყეს ცქერა, რომ ამ უკანასკნელმა შიატო-ვეს თავის პოსტი და გაიქცენ, მართვლობის სადავე კი ამ უპარტიო და აპოლიტიურ კომიტეტის განცოფილებებს მიუდგეს. შემინებული საზოგადოებრივი მოღვაწენ ცენტრს შეეკითხვნენ, რა ვუყოთ ამ ძალა-უფლებას, რომელიც ხელში მოგვაჩერესო. მოსკოვის კომიტეტმა სოფენაკომის სთოვა განმარტება... ამ უკანასკნელმა კი ცხადია ასეთ მოვლინაში თავისთვის საზიჯათო სიმპტომი დაინახა. თუ გამოჩენა საზოგადოებრივ ელემენტებისა საცნაობა, რომ ადგილობრივ ძალა-უფლებამ მათ ხელში გადავიდეს, აქტივობა რომ გამოიჩინოს და სერიოზულათ ვაბატონება მოისურვონ—ცხადია წინ ველარავინ დაუდგებაო—სთქვენ მათ და არჩიეს ასეთ მეტოქის თავიდან მოშორება. ბოლშევიკებისთვის ეს ლოგიკურია... გაწყდეს ხალხი, თუ ბოლშევიკებს არ ცნობს და მათთან შიმშილი არ ურჩენია სხვის ხელში მძღრათ ყოფნას.

დასკვნა.

უცხოეთის რუსული პრესა დღემდე დიდ რყევას განიცდიდა, ევროპის საზოგადოებრივი აზრიც მათ აიკოლიეს და შეიქნა საერთო დრო-ტი აპოლიტიურ მოქმედებისა. ამ დრონტის ლოზუნგი იყო: დავეხმარათ ხალხს, ხოლო ბოლშევიკებს გვერდი აუვუროთო. მაგრამ ასეთი გვერდის ავლა არ მოხერხდა. ბოლშევიკებს არ სურთ და არ შეუძლიათ თავის გვერდით ვინმე გაატარონ.. და თავის «გაბედული» მოქმედებით ისინი დღეს თვით უმტკიცებენ ქვეყანას, რომ სანამ ბოლშევიკში მძღობს რუსეთში, დახმარებაზე ლაპარაკი ცხრა მეთოდით მაინც უბრალე ლაქებია. ამას ახლა გარძობს ევროპიული რუსული პრესა, და მან უკვე იბრუნა პირი ბრძოლის აუცილებლობისაკენ. ევროპის საზოგადოებრივი აზრიც იძულებული იქნება მალე ამავე დასკვნამდე მივიდეს.

რუსეთის ხალხს ვერავინ იხსნის, სანამ მასზე კომუნისტები ბატონობენ.

